
თავი - 8

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები

შინაარსი

- ❖ ფინანსური ანგარიშგების დანიშნულება
- ❖ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები
- ❖ ფინანსური ანგარიშგების ელემენტები
 - ◆ აქტივები
 - ◆ ვალდებულებები
 - ◆ კაპიტალი
 - ◆ შემოსავლები
 - ◆ ხარჯები
- ❖ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება
- ❖ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება

8 . 1 . ფინანსური ანგარიშგების დანიშნულება

წინასიტყვაობა

მსოფლიოს მრავალი საწარმო წარუდგენს გარე მომხმარებელს ფინანსურ ანგარიშგებას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ანგარიშგება ერთმანეთის მსგავსია, მათ შორის მაინც არსებობს გარკვეული განსხვავება, რაც განპირობებულია მრავალი სოციალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო ფაქტორებით, აგრეთვე იმით, რომ ამ ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების ჩამოყალიბება ხდება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიების ინტერესთა გათვალისწინებით.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტის (ბასსკ) საქმიანობის მიზანია შეამციროს ეს განსხვავებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესების, პროცედურებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციის მეშვეობით.

ბასსკ-ი თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული მიზნების გათვალისწინებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნილებებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფინანსური ანგარიშგების თითქმის ყველა მომხმარებელი ძირითადად დაინტერესებულია შემდეგი ტიპის ეკონომიკური გადაწყვეტილებებით:


- ა) გადაწყვიტოს, როდის იყიდოს, დაიტოვოს ან გაყიდოს ინვენსტირებული კაპიტალი;
- ბ) შეაფასოს საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანობა და პასუხისმგებლობა;
- გ) შეაფასოს, შეუძლია თუ არა საწარმოს უზრუნველყოს თავისი მუშაკები ხელფასით და სხვა სახის დახმარებით;
- დ) შეაფასოს მენეჯმენტის ხარისხი და ანგარიშმგებლობა;
- ე) განსაზღვროს საგადასახადო პოლიტიკა;
- ვ) განსაზღვროს გასანაწილებელი მოგება და დივიდენდები;
- ზ) მოამზადოს და გამოიყენოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკა;
- ღ) დაარეგულიროს საწარმოს საქმიანობა.

8 . 2 . ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ჩვენს ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ბასსს-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება საფინანსო-სააღრიცხვო პროცესის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური ანგარიშგების პაკეტს მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისათვის (ბალანსს); პერიოდის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები



ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად ჭირდება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობების, აგრეთვე მათი გამომუშავების საიმედოობისა და დროულობის შეფასება. ეს უნარი საბოლოოდ განსაზღვრავს მაგალითად, საწარმოს შესაძლებლობას გადაუხადოს დაქირავებულ მუშაკებსა და მომწოდებლებს, დაფაროს პროცენტები და მიღებული სესხები, გაუნაწილოს მოგება მესაკუთრეებს. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები უკეთ შეაფასებენ საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების უნარს, თუკი მათ ხელთ ექნებათ ინფორმაცია, რომელიც ფოკუსირებულია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობის შესახებ ძირითადად მოცემულია ბუღალტრულ ბალანსში, ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ ძირითადად მოცემულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ - მოცემულია საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისთვის (ბალანსი)

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს მის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსები, მისი ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკურ გარემოსთან შეგუების უნარი. საწარმოს

განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებისა და წარსულში ამ რესურსების გარდაქმნის უნარის შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს საწარმოს ფულისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წარმოქმნის უნარი მომავალში. ინფორმაცია საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს საწარმოს ფინანსური ვალდებულებების დროულად შესრულების უნარი. ლიკვიდურობა ნიშნავს ახლო მომავალში საწარმოს ფულადი საშუალებების არსებობას მიმდინარე პერიოდის ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინების შემდეგ. გადახდისუნარიანობა კი ნიშნავს ფულადი სახსრების არსებობას უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების, განსაკუთრებით კი მისი მომგებიანობის შესახებ, მოითხოვება იმ ეკონომიკური რესურსების ცვლილებების შესაფასებლად, რომელიც მან შესაძლოა გააკონტროლოს მომავალში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების ცვალებადობის შესახებ. ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ სასარგებლოა საწარმოს მფლობელობაში არსებული რესურსების საფუძველზე ფულადი სახსრების გამომუშავების უნარის პროგნოზირებისათვის. იგი ასევე გამოსადეგია საწარმოს მიერ შესაძლო დამატებითი რესურსების ეფექტური გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ სასარგებლოა საანგარიშო პერიოდში საწარმოს საინვენსტიციო, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შესაფასებლად. ეს ინფორმაცია სასარგებლოა. რათა მომხმარებელი გაეცნოს იმ საფუძველს, რომლითაც შეაფასებს საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების უნარსა და ფულადი სახსრების გამოყენების საჭიროებას.

ფინანსური ანგარიშგება აგრეთვე მოიცავს შენიშვნებს, ცხრილურ დანართებსა და სხვა ინფორმაციას. მაგალითად იგი შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას, რომელიც პასუხობს მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნილებებს ბალანსისა და მოგება ზარალის ანგარიშგების მუხლების შესახებ. ანგარიშგებაში შეიძლება აღწერილი იყოს იმ რისკების და განუსაზღვრელი ფაქტორების ახსნა, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოზე, აგრეთვე რესურსებსა და ვალდებულებებზე და რომლებიც არ არის აღიარებული ბალანსში.

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება შეიცავს სხვა ანგარიშგებისგან განსხვავებულ ინფორმაციას, არცერთი მათგანი არ ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს და ვერც მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად მოგებისა და ზარალის ანგარიშგება სრულად ვერ აღწერს საწარმოს საქმიანობის შედეგებს, თუ არ იქნება განხილული

ბუღალტრული ბალანსისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების ამსახველ ანგარიშგებასთან ერთად.

სქემა №2

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირი

ანგარიშგება	ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდი
მოგება/ზარალის ანგარიშგება	შემოსავლები - ხარჯები = საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	საკუთარი კაპიტალი + წ/დ მეპატრონეთა მიერ დამატებითი შეტანილი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება მეპატრონეთა მიერ გატანილი კაპიტალი გაცემული დივიდენდი საკუთარი კაპიტალი წ/ბ
ბალანსი	აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი

8 . 3 . ფინანსური ანგარიშგების ელემენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო დაჯგუფებებს უწოდებენ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს.

ბუღალტრულ ბალანსში ეს ელემენტები წარმოდგენილია :

- ✓ აქტივების;
- ✓ ვალდებულებებისა; და
- ✓ საკუთარი კაპიტალის სახით.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტებია:

- ✓ შემოსავლები;
- ✓ ხარჯები.

რითაც ფასდება საწარმოს საქმიანობის შედეგები.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების ანგარიშგებაში, როგორც წესი, ასახულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტები და ბალანსის ელემენტების ცვლილებები.

ამ ელემენტების ასახვა ბუღალტრულ ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გულისხმობს მათ ქვეჯგუფებად დაყოფის პროცესს. მაგალითად საწარმოს ბალანსის აქტივები და ვალდებულებები შეიძლება დაჯგუფდეს მათი დანიშნულებისა და ფუნქციების

მიხედვით, რათა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია რაც შეიძლება სასარგებლო იყოს მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი ელემენტები: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

8 . 3 . 1 . აქტივები

აქტივი - არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსვლას.

საწარმო, როგორც წესი მოიხმარს აქტივებს იმ საქონლის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რომლებიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. ამ დროს მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ ამ საქონლის ან მომსახურების საფასური და ამით ხელი შეუწყონ საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლას. ფულადი სახსრები კი, როგორც უნივერსალური საწარმოო რესურსი, თავისთავად საწარმოს ემსახურება.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოდის სხვადასხვა გზით. მაგალითად:

- ✓ შეიძლება აქტივის გამოყენება ცალკე ან სხვა აქტივებთან ერთად;
- ✓ საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესში;
- ✓ შეიძლება აქტივის გაცვლა სხვა აქტივზე;
- ✓ შეიძლება აქტივის გამოყენება ვალდებულების დასაფარავად;
- ✓ შეიძლება აქტივის განაწილება საწარმოს მესაკუთრეთა შორის.

მრავალ აქტივს მაგალითად ძირითად საშუალებებს ფიზიკური ფორმა გააჩნია. მაგრამ აქტივების ერთადერთი განმსაზღვრელი თვისება ფიზიკური ფორმა არ არის. ასე მაგალითად პატენტს და საავტორო უფლებას არ გააჩნია ფიზიკური ფორმა, მაგრამ ჩაითვლება აქტივად, თუ ისინი იმყოფებიან საწარმოს განკარგულებაში და ივარაუდება, რომ მათი გამოყენება გამოიწვევს ფულადი სახსრების შემოსვლას საწარმოში.

ზოგიერთი აქტივი მაგალითად, მისაღები თანხები და ქონება დაკავშირებულია სამართლებრივ და მათ შორის საკუთრების უფლებასთან. საწარმოს აქტივების არსებობის განსაზღვრისას საკუთრების უფლება არ არის მთავარი. მაგალითად იჯარით აღებული ქონება ჩაითვლება აქტივად, თუ საწარმო აკონტროლებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც ივარაუდება ამ ქონების გამოყენებით.

საწარმოს აქტივები წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგია. საწარმო როგორც წესი შეიძენს ან თვითონ აწარმოებს აქტივებს. მომავალში

მოსახდენი სამეურნეო ოპერაციები და მოვლენები თავისთავად არ იწვევს აქტივების ზრდას. მაგალითად მომავალში საწარმოს მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის სურვილი არ აკმაყოფილებს აქტივის განსაზღვრებას.

დანახარჯების გაწევასა და აქტივების წარმოშობას შორის მჭიდრო კავშირია, თუმცა ეს ორი მოვლენა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად საწარმოს მიერ გაწეული დანახარჯები შეიძლება იყოს იმის დასტური, რომ ივარაუდება ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაწეული დანახარჯები აკმაყოფილებს აქტივების არსს და შესაძლებელია ბალანსში მათი აქტივად აღიარება. მსგავსად ამისა დანახარჯების არარსებობა არ უშლის ხელს ობიექტის აქტივად აღიარებას. მაგალითად საწარმოს მიერ უსასყიდლოდ მიღებული ობიექტები აკმაყოფილებენ აქტივის განმარტებას.

8 . 3 . 2 . ვალდებულებები

ვალდებულება – არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო ოპერაციების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესასრულებელი კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. ნორმალურად ითვლება, მაგალითად, საწარმოს ვალდებულების წარმოშობა საქონლის ან მომსახურების მიწოდებისათვის. ვალდებულება წარმოიშვება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში.

აუცილებელია გაიმიჯნოს მიმდინარე ვალდებულება და მომავალი ვალდებულება. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომავალში აქტივების შეძენის შესახებ, თავისთავად არ წარმოშვებს ვალდებულებას. როგორც წესი ვალდებულება წარმოიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია ან თუ საწარმო დადებს შეუქცევად ხელშეკრულებას აქტივების შეძენის შესახებ.

მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა, გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გასვლას მევალე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით. მაგალითად:

- ✓ ფულის გადახდით;
- ✓ სხვა აქტივების გადაცემით;
- ✓ მომსახურების გაწევით;
- ✓ ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით;
- ✓ ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით.

ვალდებულების დაფარვა შესაძლებელია სხვა საშუალებითაც.

მაგალითად, კრედიტორის მიერ მისაღებ თანხებზე უარის თქმით ან კრედიტორების უფლების კონფისკაციით.

8 . 3 . 3 . საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი - არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

საკუთარი კაპიტალი ბალანსში შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად, მაგალითად სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ამგვარი სტრუქტურა შეიძლება ასევე ასახავდეს მესაკუთრეთა განსხვავებულ უფლებებს დივიდენდების მიღებისა და კაპიტალის ამოღებასთან მიმართებაში. რეზერვების შექმნა ზოგჯერ მოითხოვება წესდებით ან კანონმდებლობით, მესაკუთრეებისა და კრედიტორების ზარალისგან დამატებითი დაცვის მიზნით.

საწარმოს ბალანსში ასახული საკუთარი კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. საკუთარი კაპიტალის ჯამური სიდიდე შეიძლება მხოლოდ შემთხვევით უდრიდეს საწარმოს აქციათა ჯამურ საბაზრო ფასს ან თანხას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას წმინდა აქტივების ცალ-ცალკე ან მთლიანად საწარმოს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, გაყიდვით.

სამეწარმეო საქმიანობა ძირითადად ზორციელდება საწარმოთა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. როგორც ჩვენ უკვე განვიხილეთ, კაპიტალის განაწილების შეზღუდვები კორპორაციულ საწარმოებში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საწარმოებში.

საწარმოო საქმიანობის შედეგები

საწარმოს საქმიანობის შედეგების შესაფასებლად ხშირად იყენებენ მოგების მაჩვენებელს, რომელიც გამოითვლება პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად.

შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტებს შორის განსხვავების დადგენა და მათი დაჯგუფება სხვადასხვა გზით, საშუალებას იძლევა საწარმოს საქმიანობის შედეგები დავახასიათოთ სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით. ამ მაჩვენებლებს გააჩნიათ განსხვავებული საინფორმაციო დატვირთვა. მაგალითად, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შეიძლება ნაჩვენები იყოს მთლიანი მოგება (ბრუტო), ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული მოგება დაბეგვრამდე, ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული მოგება დაბეგვრის შემდგომ და წმინდა მოგება (ნეტო).

8 . 3 . 4 . შემოსავლები

შემოსავალი - არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

შემოსავლების ცნება მოიცავს ამონაგებს და შემოსულობას. ამონაგები წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით,

მაგალითად: ამონაგები მომსახურების გაწევიდან, პროცენტი, დივიდენდი, როიალტი, და საიჯარო ქირა.

შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემოსავლის შესახებ არსებულ განმარტებას და შეიძლება წარმოიშვას ან არ წარმოიშვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. შემოსულობა გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის გადიდებას და ამ თვალსაზრისით, არ განსხვავდება ამონაგებიდან.

შემოსულობა შეიძლება მიღებული იქნას ძირითადი აქტივების გაყიდვის შედეგად. შემოსავლების ცნება გულისხმობს არარეალიზებულ შემოსულობებს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადაფასებით ან გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ზრდით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსულობებს ხშირად ასახავენ მათ მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

8 . 3 . 5 . ხარჯები

ხარჯები - არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოიდან გასვლის ან ვალდებულების ზრდის საფუძველზე. რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯების ცნება მოიცავს ზარალს და ასევე ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოშობილი ხარჯებია მაგალითად: რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხელფასი და ცვეთა. საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები პრაქტიკაში სხვადასხვა სახის აქტივების (ფულადი სახსრები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ძირითადი საშუალებები) შემცირებით ან საწარმოიდან გასვლით გამოიხატება.

ზარალი გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ხარჯების შესახებ არსებულ განმარტებას და შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ზარალი ასახავს საწარმოიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას და ამდენად თავისი ბუნებით არ განსხვავდება ხარჯებისაგან.

ზარალი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს არაორდინალური საქმიანობის პირობებშიც რაიმე სტიქიური უბედურებისან კატასტროფის გამო (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა). ხარჯების ცნება მოიცავს აგრეთვე ფარულ ზარალს, მაგალითად უცხო სავალუტო კურსის ზრდის გამო ეროვნულთან შედარებით. მოგება და ზარალის ანგარიშგებაში ზარალი უფრო ხშირად აისახება მასთან დაკავშირებული შემოსავლების გარეშე.

8 . 4 . ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ბალანსში ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებას და აღიარების კრიტერიუმს. აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და

თანხობრივ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ის მუხლები, რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმს უნდა აისახოს ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის ცნებას, აღიარებულ და ასახულ უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ:

- ა) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- ბ) მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის აღიარების შესაძლებლობის დადგენისას, აუცილებელია არსებითობის კრიტერიუმის დაცვა. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ურთიერთდამოკიდებულება ელემენტებს შორის ნიშნავს, რომ მუხლი (მაგ. აქტივი), რომელიც აკმაყოფილებს განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს თითოეული ელემენტისათვის, ავტომატურად მოითხოვს სხვა ელემენტის მაგალითად შემოსავლის ან ვალდებულების აღიარებასაც.

8 . 5 . ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება.

შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტების აღიარება საწარმოს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდების შერჩევას. ეს მეთოდებია:

პირვანდელი ღირებულება. აქტივები აღირიცხებიან მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ღირებულებით. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივების თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულებების სანაცვლოდ.

მიმდინარე ღირებულება. აქტივები აღირიცხებიან იმ თანხით, რომელსაც გადაიხდიდა სუბიექტი იგივე აქტივს ამჟამად რომ იძენდეს. ვალდებულებები აღირიცხება იმ ღირებულებით, რომელიც საჭიროა ვალდებულებების ახლანდელ დროში დასაფარავად.

სარეალიზაციო ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება იმ ღირებულებით, რომლის მიღებაც არის შესაძლებელი ამ აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები აღირიცხებიან იმ ღირებულებით, რომელიც გადახდილი უნდა იქნას მის დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დისკონტირებული ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მათი არსებული ღირებულების თანხით, რომელიც მომავალში შემოსავლელი წმინდა ფულადი სახსრების ტოლია. ვალდებულებები აღირიცხებიან იმ არსებული დისკონტირებული თანხით, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულებების დასაფარავად, რომელიც მომავალში ამ მიზნით გასასვლელი ფულადი სახსრების ტოლია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ყველაზე ხშირად იყენებენ პირვანდელი ღირებულების მეთოდს. როგორც წესი, უფრო მიღებულია მისი გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთობლივად. მაგ: სასაქონლო – მატერიალური ფასეულობები აღირიცხება პირვანდელ ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს თანხით. ფასიანი ქაღალდების აღირიცხვა შესაძლებელია მათი საბაზრო ღირებულებით, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულებების – დისკონტირებული ღირებულებით. ამასთან ზოგიერთი საწარმო იყენებს მიმდინარე ღირებულების მეთოდს, რადგან პირვანდელი ღირებულების მეთოდი ვერ გვიჩვენებს ჩუქებით ანუ უსასყიდლოდ მიღებული აქტივების ფასების ცვლილების შედეგებს.

შემდეგ თემებში დაწვრილებით იქნება განხილული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტი და პროგრამის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება სადაც დაგროვილი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესებსა და მოთხოვნებზე.